ცნობის ფურცელი

№ 2232 კვირა, 10 აგვისტო 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2232

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-132 №-რი

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

სავაჭრო სახლი ლეოპოლდ ნეიშელლერი

აგვისტოს შუა რიცხვებში ჰხსნის

კალოშების საწყობს

ერევნის მოედანზე, ქალაქის საკრედიტო საზოგადოების სახლში.

კალოშები რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობისა.

გაიმართება აგრეთვე ვაჭრობა ტყავეულობის ნაწარმოებისა რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (3—3)

ფოთის საბუღალტერო კურსები

კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. კურსებისთვის აშენებულია საგანგებო კაბინეტი პრაქტიკულ განყოფილებაში ფიქტიურ ოპერაციების საწარმოებლად. კურსების ჩინებულად დამსრულებელთ თვით კურსების დამაარსებელი უჩენს ადგილს. (ნ. 0—4)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ

საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუხა მაქაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგაის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.
კავკასიის ოფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—23)

ტფილისის დურგალთა

ამხანაგობის «შრომის» წევრთა

მორიგი კრება

დანიშნულია 1903 წ. 17 აგვისტოს დილის 10 საათისათვის ამხანაგობის სადგომში (მიხეილის ქუჩა, სახლი № 156).

განსახილველი საგნები:

1) 1903 წლ. პირველ ნახევრის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2) გამგეობის მოხსენებანი ამხანაგობის საქმეთა გაუმჯობესებისა გამო; 3) სარევიზიო კომისიის წევრთა მოხსენებანი იმავ საგანზედ; 4) არჩევანი ახალ წევრთა.

უკეთუ წევრთა კანონიერი რიცხვი არ დაესწრება, კრება გადაიდება 24 აგვისტოსათვის.

ამხ. გამგეობის თავმჯდომარე გ. თოიძე.

გამგეობის წევრნი: { ი. რუსიშვილი
გ. ი. ბერძენოვი.

(3—137—1)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ცინკოგრაფია

ტფილ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მრ. ვ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ორი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, გელიგოგნიაშვილის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ქ. ქუთაისში

ექიმი გაბრიელ იოსების ძე

ბოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—5—8)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, დ. ალ. ნათაძეს. (ვ. 0—24)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. იქით ხუთშაბათს პარიზის რკინის გზაზე მომხდარ უბედურების მსხვერპლნი დაასაფლავეს. დასაფლავებას აუარებელი ხალხი, რესპუბლიკის პრეზიდენტისა, სენატისა და პალატის თავმჯდომარეთა წარმომადგენელნი, მინისტრები და თითონ პირველი მინისტრი კომბი დაესწრნენ. კომბმა მთავრობის სახელით გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. პირველმა მინისტრმა სთქვა:

„ამ თავზარ დამცემმა ამბავმა გული მოუკლა მთავრობას. საზარელმა უბედურებამ მაინც აგვიხილოს თვალი და შესაფერის რეფორმის საჭიროება დაგვანახვოს. ადამიანის სიცოცხლის დამცველ კანონის გამოცემა მით უფრო საჭიროა, რომ ამისთანა უბედურების მსხვერპლად მომეტებულ ნაწილად საწყალი ხალხი ხდება. საწყალ ხალხის სიცოცხლე კი უამისოდაც სავსეა გაჭირვებითა და სიღატაკით. ყოველ დღიურ გაჭირვებისა და ვარამის გარდა, საწყალ ხალხს თავისი ხელობაც ხშირად აგდებს განსაცდელში. ათასში ერთხელ უბედურება ამ ქვეყნის ბედნიერთაც დაატყდებათ ხოლმე თავსა; ასე მოხდა, მაგალითად, როდესაც თეატრი „ოპერა კომიკ“-ი და საქველმოქმედო ბაზარი დაიწვა, მაგრამ ღარიბ ხალხს ერთი ასად მეტი უბედურება ეწვევა ხოლმე, დედამიწის ზემოდ, თუ დედა-მიწის გულში. ვერავინ ვერ წაუვა ბრმა ბედის განსაცდელს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან და მოვალენიც ვართ ადამიანის სიცოცხლე გაცილებით მეტად დავაფასოთ ქონებრივ სარგებლობაზე. ადამიანის სიცოცხლის დასაცველად არაფერ შრომასა და არაფერ მსხვერპლს არ უნდა ვერიდებოდეთ. ამ მოვალეობას საზოგადოება,—უყოყმანოდა და გადაჭრით ვაცხადებ,—ხშირად რიგზე ვერ ასრულებდა. საზოგადოება ხან და ხან ადამიანის სიცოცხლეს ქონებრივ მოგებას ანაცვალებდა, თუმცა კი ერთი მეორეზე მოყოლილი უბედურება ხმა მაღლა ღაღადებდა ამისთანა ქცევის წინააღმდეგ. ღარიბ ხალხს ხომ ნამეტნავად ხშირად სწირვენ მსხვერპლად ანგარებისა და მოგების კერპსა. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს საზარელი უბედურება მაინც მოგვიყვანს ჭკუაზე. მთავრობა მოვალეა ეცადოს და ღარიბ ხალხის სიცოცხლის დასაცველად ღონისძიება მიიღოს.“

◆ პრეზიდენტ ლუბეს ყველა მხრიდან სამძიმრის დეპეშები მოსდის ამ უბედურების გამო. ინგლისისა და იტალიის მეფეებმა ლუბეს თანაგრძნობა გამოუცხადეს დეპეშით. ასეთივე დეპეშები გამოუგზავნეს პორტუგალიისა და ესპანიის მეფეებმაც. იმპერატორმა ვილჰელმმა გერმანიის ელჩს პარიზში მიანდო, რესპუბლიკის პრეზიდენტს ჩემ მაგიერ უღრმესი სამძიმარი გამოუცხადეთო.

◆ იმ საქალაქო რკინის გზის თაობაზე, სადაც უბედურება მოხდა, გაზეთ „პრეს“-ის თანამშრომელს გამოჩენილ არხიტექტორებისა და ინჟენერების აზრი გაუგია. ყველას უთქვამთ, ეს რკინის გზა მეტად ცუდად იყო გამართულიო; საზოგადოების უშიშროებაზე ნამცეციც არ უფიქრიათო. ლუვრის არხიტექტორს რედონს დაუმტებია, ხვრელის თაღებს კანონიერ 80 სანტიმეტრის მაგიერ, 50—60 სანტ. სისქე ძლივს აქვთ და ცუდი მასალითაა აშენებულიო, ასე რომ ადრე თუ გვიან, შეიძლება, ეს გზა სულაც დაინგრესო.

გერმანია. ერთის თვის წინად გერმანიაშიაც მოხდა უბედურება: სილეზიაში დიდი წვიმებისაგან წყლები ადიდდა და იქაური სოფლელი ხალხი საშინლად დაზარალდა. მთავრობამ პირველში ყურიც არ გაიბერტყა ამაზე, მაგრამ გაზეთებმა და ხალხმა ისეთი ამბავი დააწიეს მთავრობის დაუდევნელობის გულისათვის, რომ მთავრობამაც იკადრა და დაზარალებულთა საშველად ბევრი ღონისძიებანი მიიღო. სწორედ ამ დროს გერმანიაში განთქმული ამერიკელი მილიარდერი ვანდერბილდი მოვიდა. თითონ იმპერატორ ვილჰელმის ბრძანებით, ადგილობრივი მოხელეები დიდის ამბით დაუხვდნენ ვანდერბილდს; ისე დიდებულად მიიღეს თურმე, თითქო უბრალო მდიდარი კაცი კი არა, თითონ ამერიკის პრეზიდენტი იყოსო. ამ ამბავმა უფრო გააგულისა გერმანიის პრესსა და საზოგადოება. ყველანი ამბობდნენ, მთელ პროვინციას ასეთი დიდი უბედურება ეწვია და ჩვენმა მთავრობამ აინუნშიაც არ ჩააგდო და ვიღაც ვანდერბილდს კი ასეთის ამბით დაუხვდაო. ლიბერალური გაზეთები დღემდე სასაცილოდ იგდებენ მთავრობას ამ უცნაურ დახვედრისათვის. ამაზე იუმორისტულმა გაზეთებმა კარიკატურებიც დახატეს. ამერიკული გაზეთებიც გესლიანად დასცინიან თურმე გერმანიის მთავრობას: ფილოსოფოსების ქვეყანას, ალბად, მეტად გაუკვირდა მდიდარ კაცის სტუმრობა, რომ ასეთის ამბით მიიღეს ვიღაც ვანდერბილდიო.

ავსტრო-უნგრეთი. უნგრეთის საპარლამენტო კრიზისი მეტად გაჭიანურდა. იმპერატორი ფრანც-იოსები ხშირად თათბირობს კუენ-ჰედერვართან, გრაფ გოლუხოვსკისთან, კერბერთან და სხვა სახელმწიფო კაცებთან, მაგრამ უნგრეთის პარლამენტის მოღვაწეთაგანი კი ჯერ არავინ მიუწვევია მოსალაპარაკებლად. ყველანი იმ აზრისანი არიან, თუ მთავრობა უნგრეთის ოპოზიციას არ დაუთმობს, ახალ სამინისტროს დანიშვნა შეუძლებელი იქნებაო. ამიტომ ჯერ იკვლევენ და იგებენ, რის დათმობა შეუძლია ავსტრიას, და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება უნგრეთის პარტიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება. აქამდე ავსტრიის პოლიტიკოსებს ძლიერ ეშინოდათ უნგრეთთან უთანხმოებისა და მზად იყვნენ ბევრი რამ დაეთმოთ, ოღონდ იმპერიის ორსავ ნაწილ შუა-კი მჭიდრო კავშირი არ დარღვეულიყო. უნგრეთის პოლიტიკოსები კი სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ უნგრეთისათვის სრული დამოუკიდებლობა მოეპოვათ და ავსტრიასთან საერთო მხოლოდ ერთი მეფე-ღა ჰყოლოდათ. ეხლა უნგრეთთან უთანხმოება და განხეთქილება ავსტრიაშიაც აღარავის აშინებს; პირიქით, თითონ ავსტრიაშიაც ეხლა ბევრი თხოულობს, უნგრეთი ცალკე გავიდესო. „პილზენერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტისათვის ავსტრიის პირველ-მინისტრად ნამყოფს და ეხლანდელს ზედა პალატის თავმჯდომარეს თავად ვინდიშგრეცს უთქვამს: უნგრეთი სრულ დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობს, ბოლოს, რაღა თქმა უნდა, შეისრულებს კიდეც თავის სურვილს; უნგრეთს ეხლა მხოლოდ ის აყენებს, რომ ჯერ დამოუკიდებლობისათვის საკმაოდ ეკონომიური ძალა არ შესწევს. ეხლანდელი საფინანსო და სატამოჟნო შეთანხმება დიდ უპირატესობას აძლევს უნგრეთს. უნგრეთიც სარგებლობს ამ უპირატესობით, რომ ავსტრიის შემწეობით წელი გაიმაგროს და მერე, როცა ეკონომიურად მოღონიერდება, გაეყაროს. ავსტრიის პატრიოტებმა უნდა იფიქრონ, არა სჯობია, ეხლავე გავეყარნეთ უნგრეთს, რადგან, სულ ერთია, ეს გაყრა აუცილებლად მოხდება, როდესაც უნგრეთი ავსტრიის შემწეობით გამდიდრდებაო. ავსტრიის 3000 სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კავშირის საბჭომ უფრო გაბედულადაც გამოსთქვა ესევე აზრი. კავშირს საჭიროდ უცვნია, უნგრეთთან სავაჭრო შეთანხმება დაუყოვნებლივ გაუქმდესო.

◆ უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტია ბევრს რასმეს თხოულობს, მაგრამ საარჩევნო წესების რეფორმაზე კი ხმას არ იღებს. უნგრეთის სოციალისტების პარტიას ეს არ მოსწონებია და დაუდგენია; ამას იქით და-

მოუკიდებლობის პარტიის წინაამდეგ ბრძოლა დავიწყოთ.

ინგლისი. 1 აგვისტოს ინგლისის პარლამენტი დაიხურა. დახურვის დროს წესისამებრ მეფე ედუარდ VII სეფე-სიტყვა წარმოსთქვა. მეფემ სთქვა:

ჩემს მოგზაურობას პორტუგალიასა, იტალიასა და საფრანგეთში კარგი შედეგი მოჰყვა. პრეზიდენტ ლუბეს მოსვლამაც ლონდონში დიდი სარგებლობა მოიტანა და ინგლისსა და საფრანგეთს შუა მეგობრობა გაამაგრა. მაკედონიაში დღესაც დიდი არეულობაა, მაგრამ ინგლისი, რუსეთისა და ავსტრიის თანხმობით, ყოველ ღონეს ღონობს, რომ არეულობა ამაზე მეტად აღარ გაძლიერდეს. მეფეს იმედი აქვს, ოსმალეთი რეფორმებს მოახდენს და მაკედონიის ყოფას გააუმჯობესებსო. მერე მეფემ ჩინეთთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება და სპარსეთთან შეთანხმება მოიხსენია. ტრანსვაალსა და ორანჟის კოლონიაში ხალხი თან და თან მშვიდდება და სრული წესიერება მყარდება. ინდოეთში კარგი მოსავალი იყო, ფინანსებიც გამოკეთდა, ამის გამო ინდოეთის ხალხს გადასახადები შეუმსუბუქდაო. დასასრულ მეფემ სთქვა: მოხარული ვარ, რომ ირლანდიასა და შოტლანდიაში ჩემი ერი ვნახე და გულწრფელის სიხარულითაც ვიყავ მიღებულიო.

მაკედონია. უსკიუბიდან ამბავი მოვიდა, აჯანყებულ ოლქებში ჩუმად დიდძალი იარაღი, დინამიტი და სხვა ასაფეთქებელი მასალა შეაქვთ. უსკიუბისა და მონასტირის ვილაეტები სავსეა იარაღის საიდუმლო საწყობებით; იარაღს უფრო კარგად ისეთ მთა-ადგილებში ინახავენ, როგორიცაა ეგრიპალანგა, პრილეპი და ოსმანიე. ხმა დადის, აგვისტოს მეორე ნახევარში აჯანყება მთელს მაკედონიას მოედებაო. რაზმის უფროსებს საწყობებიდან დიდძალ იარაღსა, სამხედრო და ასაფეთქებელ მასალას ურიგებენო. ოსმალეთის მოხელეების ცხვირ წინ ამოდენა იარაღი შეაქვთ და ისინი კი ყურსაც არ იბერტყენ თურმე.

◆ „ტაიმს“-ს სწერენ, უსკიუბში ოსმალეთის მოხელეებს 5 ათასი თოფი დაურიგებიათ მაჰმადიანებისათვის. შეიარაღებული მაჰმადიანები თურმე ქრისტიანებზე დაცემას აპირებენ.

◆ მაკედონიიდან კიდევ მეტად არეული ამბები მოდის. ორიოდე დღის წინ გაზეთები სწერდნენ, აჯანყებაში ბერძნები და კუცო-ვლახებიც იღებენ მონაწილეობასაო, ეხლა კი „კელნიშე ცაიტუნგ“ ი სულ სხვა ამბავს იუწყება. გაზეთი სწერს: აჯანყებული ბოლგარები მუსულმანთ გარდა, ბერძნებსაც ეცემიან და ბერძნის სოფლებს იკლებენ და სძარცვავენ. ბერძნებს შიშის ზარი დაეცათ; ზოგგან ბერძნებმაც რაზმები შეადგინეს თავიანთ სიცოცხლის და ქონების დასაცველად. ერთი ამისთანა რაზმი ევანგელის უფროსობით აჯანყებულ ბოლგარების რაზმს შეებრძოლა და გამარჯვებული გამოვიდაო.

ახალი ამბავი

◆ ზეგ, 12 აგვისტოს, სწორედ ერთი წელიწადი სრულდება, რაც ჩვენ ნიჭიერი დრამატურგი **ავქსენტი ცაგარელი** გარდაიცვალა.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისისა, განჯისა და ერევნის გუბერნიებში გაადიდეს **მომრიგებელ შუამავალთა** რიცხვი; ამასთან უმაღლესის ბრძანებით გლეხთა დაწესებულებებს უნდა გადაეცეს საქმეები სახელმწიფო მიწებზე მცხოვრებლებისა, გადმოსახლებულებისა და კოლონისტებისა. ეხლა „კავ.“-ში დაბეჭდილია სია ახლად შემდეგ ნაწილებისა, სადაც მომრიგებელი შუამავლები დაინიშნენ. ტფილისის მაზრაში სამი მომრიგებელი შუამავალი იქნება; ერთმა უნდა იცხოვროს—ტფილისს, მეორემ—ალბულაღს (ბელი კლიუჩს), მესამემ—სართიჭალას. ახალ ქალაქის მაზრაში ორი შუამავალი, ერთი იცხოვრებს ქალ. ახალქალაქს, მეორე—სოფ. ბოგდანოვკაში. ახალციხის მაზრაში—სამი მომრიგებელი შუამავალი: ერთი—აბასთუმანში, მეორე და მესამე ახალციხეში. ბორჩალოს მაზრაში—ოთხი შუამავალი: შულავერსა, ეკატერინენფელდსა, ქელილოღლსა და ალექსანდერს გილფში. დუშეთის მაზრაში—სამი შუამავალი: დუშეთსა, ახალგორსა და ფასანაურში. სიღნაღის მაზრაში—სამი შუამავალი: გურჯაანსა, ქოდალოსა და თუქურმიშაში. თელავის მაზრაში—ორი შუამავალი: ყვარელსა და თელავში. თიონეთის მაზრაში—სამი შუამავალი: ბარისახოსა, თიონეთსა და ახმეტაში. გორის მაზრაში—ექვსი მომრიგებელი შუამავალი: ბორჯომსა, სურამსა, გორსა, ცხინვალსა, მეჯვრისხევსა და შინდისში.

◆ 2 აგვისტოს **ქართულის ენის ცენზორი** ქურული თანამდებობიდან განთავისუფლებული იქმნა. ამ დღეებში ბ-ნი ქურული ბათუმს წავა და შეუდგება ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობის ასრულებას. დროებით ქართულის ენის ცენზორობა მინდო ადგილობრივ ენების უფროსს ცენზორს ბ.ნ ქიშმიშევს. როგორც ისმის, ცენზორის ადგილს თხოულობენ პართენ გოთუა, ბ.ნი ნატროშვილი და პეტრე მირიანაშვილი.

◆ დღეისთვის დანიშნულია კრება **დურგალთა ამხანაგობის „შრომისა“**. კრებამ უნდა განიხილოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში პირველ მარტამდე, მოხსენება სარევიზიო კომისიისა და არჩევანი ახალის წევრებისა.

◆ გუშინ **ნავთლუღის მცხოვრებლებმა** საერთო თხოვნა წარუდგინეს ტფილისის გუბერნატორს. სთხოვენ, განკარგულება მოახდინოს, რომ საყასპოსთან დაიკეტოს ახლად დაარსებული სისხლის საშრობი ქარხანა. ნავთლუღელნი სწერენ, უმისოდაც ანტისანიტარულ მდგომარეობაში ვართ და ამ ქარხანამ ხომ სულ მოგვიწამლა ჰაერიო.

◆ ამას წინად შუკერტის ფირმის წარმომადგენელმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ნება მისცეს გაიყვანოს **ელექტრონის მავთულები** ბარის ქუჩაზე მუშტაიდთან და ლაზარევის ქუჩაზე კერძო მცხოვრებთა სახლების გასანათებლად. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ნება მისცეს ფირმას გამართოს ელექტრონის მავთულები იმ პირობით, თუ იგი უსასყიდლოდ ქალაქის ამ ნაწილში დასდგამს ოთხ ფარანს ქუჩის გასანათებლად.

◆ ამას წინად ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიამ ცნობები მოსთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ქალაქის მესამე **საობლიგაციო სესხი**. გუშინ ქალაქის გამგეობამ წარუდგინა ცნობები საკრედიტო კანცელარიას. ამ ცნობებით, 1904 წლის 1 იანვრისათვის მესამე სესხის 5 პროც. ობლიგაცია ექმნება ქალაქს 800,000 მანეთისა. ობლიგაციის პროცენტებად 1904 წლისა განმავლობაში ქალაქი მიიღებს 37,212 მანეთს. ამავე ხნის განმავლობაში უნდა გაანაღდოს 18,800 მანეთის ობლიგაცია.

◆ როგორც ვწერდით, პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტში **განთავისუფლდა** ტფილისის ორი სტიპენდია. თექვსმეტმა ქალმა შეიტანა ქალაქის გამგეობაში განცხადება და ითხოვა ეს სტიპენდიები. ბევრს არ წარუდგენია დაბადების მოწმობანი, არ აღუნიშნავს ადრესი, ასე რომ გამგეობამ არ იცის, როგორ შეჰკრიბოს ცნობები მთხოვნელთა შეძლებისა და ყოფა-მდგომარეობის შესახებ. ამიტომ ასეთ თხოვნებს გამგეობა უყურადღებოდ სტოვებს.

◆ ქალაქ მოგილევში 6-დან 12 სექტემბრამდე გაიმართება მებაღეობისა, მეფუტკრეობისა, მებოსტნეობისა, მეაბრეშუმეობისა და მეურნეობის სხვა დარგების **გამოფენა**. გამოფენის კომიტეტმა შეატყობინა ეს ამბავი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა საუკეთესო ნაწარმოების პატრონთა დასაჯილდოვებლად დანიშნოს ოქროსა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობაში ჰფიქრობენ **ახალი წესის შემოღებას** იმ მოსამსახურეთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად, რომელნიც ავადმყოფობისა გამო დროებით ეთხოვებიან. აქამდე სამკურნალო-სანიტარო ინსპექტორი სინჯავდა ასეთ მოხელეებს, ეხლა ექიმთა კომისიამ უნდა გასინჯოს.

◆ დღეისთვის მიხეილის ქუჩაზე საიუნკრო სასწავლებლის პირდაპირ საბავშო ბაღში დანიშნულია **ბავშვთა სეირნობა და გასართობები**. შესასვლელი ფასი ბავშვებისთვის 10 კაპეიკია.

◆ ტფილისის ქალაქის პოლიციას **შემნახველ-გამსესხებელი კასა** აქვს. როგორც ამ კასის ანგარიშიდანა სჩანს, კასის მონაწილე ყოფილა 82 კაცი. კასაში ამ ჟამად 12,852 მან. და 47 კაპეიკია. ამ ფულიდან 10,296 წევრებზეა გასესხებული, ხოლო ნაღდად კასაში 2556 მანეთია. 8 აგვისტოს მოხდა კასის წევრთა კრება. კრებამ დაამტკიცა ანგარიში. შემდეგ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია პოლიცმეისტერი გ. ს. კოვალევი, წევრებად ნ. პ ფირუმოვი და დ. ი. მაგრაევსკი; სარევიზიო კომისიის წევრებად ვ. ა. დუშინსკი, თავ. რატიშვილი და ფ. ფ. ტურიკოვი.

◆ **ტფილისის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელში** თავისუფალი ვაკანსიები მოსამზადებელ, პირველ, მეორე და მეხუთე კლასებშია. მიიღებენ მხოლოდ პანსიონერებს. მისაღები და ხელ-მეორედ გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 26 აგვისტოს.

◆ **ქუთაისში**, როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს ატყობინებენ, სამოსწავლო მთავრობა აარსებს პროგიმნაზიას.

◆ **ტფილისის რეალურ სასწავლებელში** მისაღები ეგზამენები მოხდება 22, 23, 26, 27 და 28 აგვისტოს. ახლად შემსვლელთა თხოვნები მიიღება 22 აგვისტომდე.

◆ რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება **გამოფენა-კონკურ-**

ფელეტონი

ქართული თეატრი.

(რეჟისორის ძებნის გამო).

ქართულ თეატრს კრიზისი დაუდგა, მაგრამ ეს არ არის კრიზისი სიკვდილისა, არამედ მოასწავებს უკეთესს მერმისს და განახლებულს ცხოვრებას. ქართული თეატრის დღევანდელი „კრიტიკული“ მდგომარეობა სრულებით არ არის საშიში და სასოწარმკვეთილი. პირიქით, ვინც სერიოზულად და კარგად ჩაუკვირდება მას, ბევრს სანუგეშოს და სასიამოვნო მოვლენას დაინახავს შიგ. ჩვენი თეატრი ვერ ეტევა წინანდელს ფარგალში, იგი ვრცლად უყურებს თავის დანიშნულებას, საზოგადოება გაცილებით მეტს თხოულობს მისგან, ვიდრე თხოულობდა დღევანდლამდის, პრესა გაუთავებელს საყვედურს უცხადებს ქართული სცენის მოღვაწეებს,—ყველას უნდა უკეთესი ქართული, თეატრი, ამან გამოიწვია საყოველთაო უკმაყოფილება, ამან დაბადა დღევანდელი „კრიზისი“!

კრიზისი, რომელიც სრულებით არ ნიშნავს, რომ ქართული თეატრი განსაცდელშია, რომ ქართულმა თეატრმა უკან დაიხია, მას სიკვდილი მოელის. არა, არც ერთი ეროვნული დაწესებულება არა გვაქვს ისეთ მტკიცე ნიადაგზე დამყარებული, როგორც თეატრი, მისი არსებობა, მისი მომავალი ყოველს ეჭვს გარეშეა, მაგრამ, ვიმეორებთ, ბევრს და მეტს მოვითხოვთ დღეს სამშობლო თეატრისა და იმის მოღვაწეებისაგან.

რაში გამოიხატება ჩვენი თეატრის დღევანდელი „კრიზისი“, რას უჩივიან ქართულ თეატრს? მაგალითად რომ ავიღოთ შარშანდელი წელიწადი და განვიხილოთ, თუ რა საყვედური გამოუთქვამს პრესას და საზოგადოებას თეატრის წინაამდეგ, დავინახავთ, რომ სამს უმთავრეს ნაკლულევანებას აღნიშნავენ ქართულ თეატრისას. ეს არის: 1) ცუდი, ხშირად ყოვლად უვარგისი რეპერტუარი, 2) უდისციპლინობა-უანსამბლობა, როლების შეუთვისებლობა, არ დასწავლა, 3) გარეგანი მოუწყობლობა პიესებისა. მერე ყველა „ეს ნაკლულევანება ახალია და არა ძველი? რეპერტუარის სიღარიბე, როლების უცოდინარობა, პიესების ცუდად დადგმა—კარგა ხანია შენიშნულია ქართულ სცენაზე, მაგრამ საზოგადოება დღემდის ასე მკაცრად არ უყურებდა ამას. დღეს საზოგადოება განვითარდა, მისი ესტეტიკური მოთხოვნილება გაფართოვდა, ამაღლდა და მას უკვე არ აკმაყოფილებს ძველი თეატრი, იგი მოითხოვს ახალს თეატრს. ეს საშიში კი არა, საიმედოა; ეს სამწუხარო კი არა, სასიხარულოა!

ადგილობრივმა მწერლობამ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და, სხვათა შორის, ბ. სცენის მოყვარემ ექვსი თუ შვიდი ვრცელი წერილი უძღვნა საგანს. ბ. სცენის მოყვარე, ეტყობა, ძლიერ დაახლოვებულია სცენასთან და ფრიადაც უყვარს ქართული სცენაც, მაგრამ მიუხედავად ბევრის საინტერესო ფაქტისა, რომელიც მის წერილებშია მოყვანილი, ავტორი დიდს ულოღიკობას იჩენს საერთოდ და თვითონვე უარყოფს თავის თავს.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს ქართული თეატრის განსაკუთრებულ პირობებს: მატერიალურ სიღარიბეს და აქტიორების სიცოტავეს; ყველაზე უფრო კი მიაქცევს ჩვენს ყურადღებას ჩვენი პრემიერების ჟინიანობას და თვითნებობას, რომელნიც არ ემორჩილებიან არავითარს დისციპლინას და წესიერებას, მხოლოდ უნდათ იბატონონ და იპირველონ, და რომელთაც ჰბაძავენ „პირველობაში“ მეორე და მესამე ხარისხის აქტიორებიც. ეს გარემოება ყოვლად შეუძლებლად ხდის თეატრის საქმის რიგიანად წაყვანას. ასეთ პირობებში ვერც ერთი გენიოსი რეჟისორი ვერაფერს ვერ გააწყობსო, ამბობს ავტორი, და თითქმის სასოწარკვეთილებაში ვარდება. მაშ როგორ-ღა შეიძლება საქმის გასწორება, დისციპლინის დამყარება? ეს არ შეუძლია არც გამგეობას, არც გარეშე პირს (რეჟისორად არჩეულს), არც მორიგ რეჟისორებსო. ავტორი უბრუნდება უკანასკნელ წერილში მის მიერ უარყოფილს სისტემას და ამბობს, რომ საქმეს ისევ ერთი რეჟისორი (არტისტი) უშველისო, მხოლოდ რეჟისორი უნდა აირჩიონ გამგეობის და აქტიორების კრებამ და არა მარტო გამგეობამო, თითქმის ამის გამო არ იქნება არჩეული იგივე კოტე, იგივე ვასო, იგივე ვალიკო!

ავტორის მიერ მორიგ რეჟისორის უარყოფას საფუძველი არა აქვს. ამის განსამარტავად საჭიროა, გავითვალისწინოთ, თუ რა მოეთხოვება რეჟისორს, რა მოვალეობა აწევს კისერზე?

ზევით დავასახელეთ ჩვენი თეატრის ნაკლულევანებანი. უეჭველია, კარგის, ჩვენის ცხოვრებისა და მდგომარეობისათვის შესაფერ რეპერტუარის შემუშავება ყველაზე უფრო შეუძლია დრამატიულ საზოგადოების გამგეობას თვითონ აქტიორების და გარეშე მცოდნე პირების დახმარებით. რეპერტუარი იმდენად რთული საქმეა და მოითხოვს ისეთ მრავალფეროვან დაკვირვებას და გამოცდილებას, რომ მისი შედგენა უნდა მიენდოს კოლეგიას და არა ერთს, ამა თუ იმ პირს. ერთს კაცს, განსაკუთრებით აქტიორს, აქ დიდი ცალმხრივობა შეუძლია შეიტანოს, ამისათვის აუცილებლივ საჭიროა სხვა-და-სხვა მხრიდან და წრიდან იქმნას მოსმენილი აზრი პიესების ამორჩევის დროს. გამგეობის უპირველესი მოვალეობაა, გაუძღვეს რეპერტუარს და ამ უფლება-მოვალეობას ვერც ერთს რეჟისორს ვერ დაუთმობს, რაც უნდა იშვიათი ნიჭის პატრონი იყოს იგი—რეჟისორი. დღეს ჩვენს თეატრს ორგვარი მაყურებელი საზოგადოება ჰყავს: უბრალო, დაბალი ხალხი და უფრო ინტელიგენტური, უფრო შეძლებული კლასი. არიან პიესები, რომლებიც ერთნაირად ვერ აკმაყოფილებენ ორივეს. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება გარდამავალი ხანაა. ჩვენს ცხოვრებაში ზოგგან ვხედავთ მოძრაობას, ზოგგან სრული სიჩუმეა. გარშემო ისეთი პირობები გვახვევია, რომ საჭიროა პროტესტი, გამბედაობა, სული ძლიერი. ზოგი წინ მიისწრაფვის, ზოგი ადგილიდან ვეღარ დაძრულა. ბრძოლაა გარშემო პირობებთან, ბრძოლა ერთმანეთ შორის—კლასისა კლასთან, წოდების წოდებასთან, თავობისა თაობასთან, პარტიისა პარტიასთან. ამ დახლართულ ცხოვრების გათვალისწინებაა საჭირო. ის პიესა მოიკიდებს ფეხს ჩვენში, რომლის იდეა უახლოვდება ჩვენს გულში დამარხულს იდეას, ის პიესა წაიტაცებს საზოგადოებას, რომელიც ძალას მისცემს მიყუჩებულს სულს და ბრძოლის სურვილს დაჰბადებს იქ, სადაც იგი ნაყოფს გამოიღებს. ზოგი უცხო პიესა პირდაპირ გასაგებია ქართველ მაყურებლისათვის, ზოგი კი გადმოკეთებას—გადმოქართულებას მოითხოვს. არის კითხვები წარმავალი, დროებითი, არის კითხვები მუდმივი. ზოგი პიესა ერთზე გვაძლევს პასუხს, ზოგი მეორეზე. უნდა ვისარგებლოთ ერთითაც და მეორითაც თავ-თავის დროზე. ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა ეროვნული თვით-ცნობიერება, რომელსაც აღვიძებს, სხვათა შორის, წარსული ცხოვრების სურათები: პატივს უნდა ვცემდეთ მათ, ვინც დაიცვეს ჩვენი ფიზიკური არსებობა, სხვა არა იყოს-რა. მაგრამ ფრთხილად უნდა გარჩევა, რა არის ისტორიაში ძვირფასი, რა არის ნამდვილი ეროვ-

სებს წელს, სხვათა შორის, გაჰმართავს: მეაბრეშუმეობისას — ოჩამჩირეს, ჩახატაურს და ამაღლებაში; მეფუტკრეობისას—ვორონცოვკაში და ვაზის მკურნალობისას—რაჭის მაზრაში.

◆ მეხილეობის გამოფენების გამმართველმა მუდმივმა კომისიამ შეატყობინა გუშინ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ კომისია 30 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე პეტერბურგში გამართავს მეხილეობის გამოფენას. კომისია სთხოვს საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღოს და მსურველთ ცნობები მიაწოდოს.

◆ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ მტკვრის მარცხენა ტოტი მადათოვის კუნძულზე დაშრა. რადგან იქ ნაგავსა ჰყრიან, საშინელი სუნია, რის გამო მეტად შეწუხებულნი არიან ამ კუთხის მცხოვრებნი. ტფილისის პოლიცმეისტერმა ეს ამბავი შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას და სთხოვა განკარგულება მოახდინოს მტკვრიდან ამ ტოტში წყლის გადმოსაყვანად.

◆ ელისაბედის ქუჩაზე დიდი მოძრაობაა ეტლებისა, ურმებისა და დროგებისა, რის გამოც საშინელი მტვერია ხოლმე დილით საღამომდე. ადგილობრივმა მოქალაქემ შეატყობინა ეს გარემოება ქალაქის გამგეობას და სთხოვა განკარგულება მოახდინოს, რომ ქუჩა ყოველ დღე ირწყვებოდეს.

◆ ხვალისთვის სადგურ ტფილისის უმთავრესს საქონლის საწყობში დანიშნული ექსპერტიზა და საჯაროდ გასყიდვა იმ საქონლისა, რომელსაც პატრონი არ მოუვიდათ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა დიდი ფარნები დასდგას ერთი ალექსანდრეს ბაღის შესავალთან, „ლონდონის“ სასტუმროს პირდაპირ, ხოლო მეორე—ვერის ხიდთან.

◆ „ცნ. ფურ“-ს მე-2228 ნომერში შეცდომით დაბეჭდილი გვქონდა, რომ სამ აგვისტოს სოფ. ავჭალის ერთ ბაღში ჩხუბის დროს მიმცემაძემ მძიმედ დასჭრა პეტრე მოღერღელაძე. როგორც გვატყობინებენ, მიმცემაძეს კი არ დაუჭრია, უცემია თურმე, ამასთან მოღერღელაძესთვის კი არა, პეტრე მაღალდაძესთვის.

◆ 8 ივლისს, საღამოს $5^{1}/_{2}$ საათზე, იარმუკაზე ოქრომჭედლების ქუჩის მოსახვევთან ეტლი დაეჯახა ერთ კაცს, წააქცია და ის იყო უნდა გადაევლო, რომ ორმა კაცმა სტაცა ცხენებს ხელი და ეტლი შეაჩერეს.

◆ ნიკოლოოზის ქუჩაზე პოლიციის მე-8 ნაწილში არუთინოვი აშენებს სახლს. ამ სახლის გვერდით ირიცფუხოვის სადგომიდან მიწა გამოინგრა. რადგან დაზიანებულ შენობისაგან შესაძლებელია რაიმე უბედურება მოხდეს, გუშინ ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გაჰგზავნოს ხუროთ-მოძღვარი ამ სახლის შესამოწმებლად.

◆ ხორცის დუქნების კომისიას დიდ-ძალი ტყავი აქვს ამ ჟამად გასასყიდი: სხვილ-ფეხა საქონლისა 10,000 ცალი, ხოლო წვრილ-ფეხისა 5,000. ქალაქის კომისია გუშინ შეეკითხა ტფილისში ტყავეულის ვაჭრებს, ხომ არ მოისურვებენ იყიდონ ტყავი. ვისაც უნდა, განცხადებით უნდა მიჰმართოს კომისიას და აღნიშნოს ფასიც.

რუსეთის ქრონიკა

◆ „სევ.-ზაპ. სლოვო“-ში დაბეჭდილია კოვენის საგუბერნიო ადმინისტრაციისაგან მიღებული შემდეგი ცნობა. ვილნოს, კოვნოს და გროდნოს გენერალ-გუბერნატორს სვიატოპოლკ მირსკის უჩუქებია 100 მან. შავლის დაბალ პოლიციის მოხელეთათვის, რომელთა მოქმედებამ აცილა ქალაქს არეულობა.

◆ კიევში მშვიდობიანობა ჰსუფევს. ბევრ გაჩერებულ ქარხნებში ისევ დაიწყო მუშაობა. ცხენის რკინის გზებზე მოძრაობაა. მეპურეებმა ისევ გააღეს დაკეტილი დუქნები. სტამბებში დროებით შეწყვეტილი მუშაობა ისევ გაჩაღდა. მიძინებული ვაჭრობა, აღებ მიცემობა თან-და-თან ცოცხლდება.

◆ ტიპო-ლიტოგრაფიის ინსპექტორმა ოდესსაში გაუგზავნა ყველა ტიპოგრაფიებს შემდეგი განკარგულება. როცა ტიპოგრაფიებს ვათვალიერებდი, „შევამჩნიე, რომ ჩემი განკარგულების მიუხედავად, გარეშე პირები შედიან იმ განყოფილებაში, სადაც მუშები არიან, ელაპარაკებიან იმათ და თვალყურს ადევნებენ მათ მუშაობას. ვაცხადებ ტიპო-ლიტოგრაფიების პატრონთა საყურადღებოდ, რომ ამიერიდან სასტიკად უნდა დაიცვან ჩემი განკარგულება ამ საგნის შესახებ და განცხადება გამოჩენილ ადგილზე გააკრანო.

◆ რკინის გზების ექიმებს დაუდგენიათ იშუამდგომლონ გზათა სამინისტროში, რათა ცნობილ კურორტებში ჭლექით ავადმყოფ რკინის გზის მოსამსახურეთათვის საავადმყოფოები გაიმართოს.

◆ გაისად პეტერბურგში მიწვეულ იქმნება სამხატვრო განათლების სფერაში მოღვათა კრება.

◆ პეტერბურგის ქალაქის თავის ამხანაგს ტარასოვს წინადადება წარუდგენია საბჭოში იმის შესახებ, რომ მეეტლეებისაგან ჯარიმად გამორთმეული ფული ისევ იმათ მოხმარდეს: ქალაქის გამგეობა გამართავს იმათთვის იაფფასიან და კარგ ეტლებით ვაჭრობას, მოაწყობს სამაგალითო სამჭედლოებს, აგრეთვე თავ-შესაფარს მოხუცებულ მეეტლეებისათვის.

◆ ქალთა სამკურნალო ინსტიტუტთან პეტერბურგში გაიხსნება ამ მოკლე ხანში ახალი კლინიკა (საავადმყოფო) საბავშვო ავადმყოფობათა შესასწავლად.

თეატრი

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ პეტერბურგში არსებობს სალიტერატურო-სამხატვრო საზოგადოება, რომელსაც საკუთარი თეატრი აქვს. შარშანდელ სეზონის განმავლობაში ამ თეატრში დასდგეს 25 პიესა, თერთმეტი ახალი და თოთხმეტი ძველი. ერთი პიესა 45-ჯერ წარმოადგინეს, მეორე—20-ჯერ, მესამე—19-ჯერ და ასე ყველა პიესა. ისეთი პიესა არა ყოფილა, რომ ორჯელ-სამჯერ არ წარმოედგინოთ. ჩვენშიკი იშვიათია ისეთი პიესა, რომ ორჯელ ან სამჯერ წარმოადგინონ. საზოგადოდ დიდ ქალაქებში არტისტებს ბევრას პიესის მომზადება და დასწავლა არა სჭირდებათ. მოსკოვსა და პეტერბურგში იშვიათია ისეთი თეატრი, სადაც წლის განმავლობაში 25—30 პიესაზე მეტზე სდგამდნენ. მოსკოვის სამხატვრო თეატრმა ხომ შარშან სულ რაღაც შვიდი-რვა პიესა წარმოადგინა. ზემოხსენებულ პეტერბურგის თეატრს შარშან წარმოდგენებიდან შემოსავალი ჰქონდა 237,903 მან., ხარჯი—241,450 მან.

—

მოსკოვის სამხატვრო თეატრი წელს პირველად აპირებს შექსპირის პიესების წარმოდგენას. უკვე გწერდით, რომ საჭირო ტანისამოსისა და ნივთების შესაძენად ამ თეატრმა 300 ათასი მანეთი გადასდო. პირველად, 20—26 სექტემბერს, წარმოადგენენ „იულიუს კეისარს“. რეპეტიციებს, ცნობილ ბელეტრისტის და დრამატურგის ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს რეჟისორობით, უკვე შეუდგნენ. ამ თეატრშიც, როგორც საიმპერატოროში, რეჟისორობის მორიგეობაა, თუმცა ამ თეატრს ჰყავს მართლაც შესანიშნავი და ნიჭიერი რეჟისორი—პ-ნი სტანისლავსკი. ზემოხსენებულ პიესისთვის ბუტაფორია და აქსესუარები მიუნხენსა და ბერლინში შეიძინეს. იულიუს კეისრისა და კასსიუს როლს ჯერ-ჯერობით შეასრულებენ არტისტები კაჩალოვი და ლეონიდოვი. სტანისლავსკი ბრუტის როლს ამზადებს.

—

მოსკოვში ამ ზაფხულს საოპერო ამხანაგობა შესდგა წარმოდგენების გასამართავად. საქმე თავიდან ცუდად წავიდა. ბოლოს ისეთ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ, რომ ბევრ არტისტს, ორკესტრის მემუსიკეს და ხორში მომღერალს დღეში პური სანატრელი გაუხდა. აი, ამ გაჭირვებულმა და მშიერმა არტისტებმა, როგორც „ტეატრ ი ისკუს“. (№ 31) გადმოგვცემს, დიდის იხვეწნით და მუდარით მიჰმართეს მთელ რუსეთში ცნობილ მომღერალს შალიაპინს, დაგვეხმარე და სამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეო. არტისტებს უნდოდათ, შალიაპინის დახმარებით იმდენი ეშოვათ, რომ როგორმე მოსკოვს გასცლოდნენ და თავიანთ ქალაქებში წასულიყვნენ. მაგრამ შალიაპინმა გაჭირვებულ მოძმეებს უბრალო პასუხიც-კი არ აღირსათ.

—

სოფ. ქავთისხევი. 26 მკათათვეს სოფელ ქავთისხევში ადგილობრივ სცენის მოყვარეთ სკოლის დარბაზში გამართეს ამავე სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა. წარმოადგინეს ა. ყაზბეგის დრამა „არსენა“. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენის გამართვას ხელს უშლიდა ბევრნაირი პირობები, აქაურმა ახალგაზრდობამ იმდენი მეცადინეობა და შრომა გამოიჩინა ამ საქმეში, რომ წარმოდგენა მაინც გაიმართა. მოთამაშენი კარგად იყვნენ მომზადებულნი და სცდილობდნენ ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ, თუმცა ცოტა მორცხვობდნენ, როგორც ახლები. სრულს ანსამბლს ხელს უწყობდა კარგად მოწყობილი სცენა. წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, სხვათა შორის, გლეხებიც იყვნენ.

ელ. ჯ—შვილი

—

მეტეხი. 7 აგვისტოს სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ქართულად ორი პიესა: ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ“ და კომედია „გაყრა“. ორივე პიესამ რიგიანად ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. წაიკითხეს ლექსები. ხორომ რამდენიმე სიმღერა შეასრულა.

ახალი კანონი მუშათა შესახებ

„კანონთა კრებულში“ გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უზღონ ქარხნებსა და სამთო მრეწველობაში უბედურ შემთხვევათა გამო დაშავებულ მუშებსა და მოსამსახურეებს და მათ ოჯახებს.

ამ წესებას თანახმად, ქარხნების და სამთო მრეწველობის პატრონებმა უნდა უზღონ ყველა მუშებს, სქესისა და წლოვანების განურჩევლად, რომელნიც დაშავდნენ ქარხნებში მუშაობისაგან და შრომის უნარი დაჰკარგეს. უბედურ შემთხვევას თუ საკვდილი მოჰყვა, მაშინ მოკლულ მუშების ოჯახებს უნდა უზღონ. მეპატრონეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაანთავისუფლებენ ზღვევისაგან, თუ დამტკიცდა, რომ მუშამ ბოროტ-განზრახვით ვნება მიაყენა თავის თავს ან ცხადის გაუფრთხილებლობით დაშავდა. პატრონი ვალ-

---

ნული, პატრიოტული?

ყველა ეს რთული, ძნელად გამოსარკვევი და ერთის კაცისათვის მეტად მძიმე ტვირთია. ერთი ადამიანი ვერ შეიმუშავებს კარგს რეპერტუარს, რეპერტუარის შედგენა არ არის რეჟისორის მოვალეობა.

ქართველ აქტიორებს შორის არ ჰსუფევს დისციპლინა, ყველას პირველობა უნდა, პირველი როლი ითამაშოს და არავინ არ ჰფიქრობს ანსამბლზე. უდისციპლინობა ხომ საერთო სენია ყველა ქართველის; ჩვენ თითქოს ისტორიულად ვართ აღზრდილნი ანარქისტებად, არავითარი პოლიტიკური აღზრდა არა გვაქვს. როგორც წარსულში არ ვემორჩილებოდით მთავრობას (რამაც გაგვანადგურა), ისე ეხლაც უხერხულად მიგვაჩნია, დავემორჩილოთ რომელსამე გამგეობას, შემაერთებელს ძალას. დამოუკიდებლობა ისე გვესმის, როგორც უდისციპლინობა და გვავიწყდება, რომ თავისუფლება მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც ერთმანერთის გაგონებაა და სოლიდარობა.

მართალია, რომ სცენის თავისებური ატმოსფერა ხელს უწყობს აქტიორების, განსაკუთრებით პრემიერების თვითნებობას, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ჩვენი აქტიორების ამ თვისებას უფრო ღრმა, ეროვნული საფუძველი აქვს.

როგორ შეიძლება დავუმორჩილოთ აქტიორები სასურველს დისციპლინას? ეს გარდა ჩვენი საზოგადო განვითარებისა შეიძლება ორის გზით: ერთი—ზნეობრივის ზედ-გავლენით—აქტიორებმა უნდა შეიგნონ თავისი მოვალეობა და პირადი თვითნებობა დაუმორჩილონ საზოგადო ნებას. ეს საშუალება შედარებით სუსტია. არის მეორე—უფრო რეალური. ჩვენ სახეში გვაქვს მეტი მატერიალური დამოკიდებულება აქტიორებისა დრამატიულ საზოგადოებისაგან. როდესაც დრამატიული საზოგადოება უფრო უზრუნველჰყოფს ქართველს აქტიორს, უფრო დააინტერესებს ქონებრივად, უფრო მეტს ფასს მისცემს ქართულ სცენაზე სამსახურს, მაშინ ქართველი აქტიორი ეხლანდელივით არ დაიწყებს კაპრიზობას, წამ და უწუმ არ მოინდომებს გაქცევას, არ დაიჩემებს: მე თუ არ დამიჯერებთ, არც გემსახურებითო. ჩვენ ვიცნობთ ზოგიერთ აქტიორს, რომელთაც ნიჭიც აქვთ და შეძლებაც, რომ ყოველთვის უკეთ ითამაშონ, ვიდრე თამაშობენ, მაგრამ დღეს უხალისოდ და უგულოდ ეკიდებიან საქმეს და მხოლოდ იმიტომ, რომ ძლიერ მცირე სასყიდელს აძლევს მათ ქართული თეატრი. აქტიორი ადამიანია და მუდმივს თავგანწირულობას ვერ მოვთხოვთ. მას შრომის შესაფერი მატერიალური სასყიდელი უნდა და აქტიორი არ დააფასებს იმ სამსახურს, სადაც მის შრომას ჯეროვანს სასყიდელს არ აძლევენ. ამაზევეა დამოკიდებული როლების დასწავლაც. შეუძლებელია, ჩვენმა აქტიორებმა კარგად შეისწავლონ და შეითვისონ როლები, ვიდრე ისინი იძულებულნი არიან, მთელი ორი მესამედი თავის ძალ-ღონისა და დროისა მოანდომონ სხვა საქმეს და სამსახურს.

ამრიგად ჩვენის აზრით, მართალია, აქტიორი უნდა ემორჩილებოდეს დისციპლინას, უნდა ემორჩილებოდეს რეჟისორს; მაგალითად, როდესაც რეჟისორი ანაწილებს როლებს, აქტიორმა უნდა მიიღოს მობარებული როლი და არ დაიწყოს ბუტიაობა ან ქენიანობა: მე „უკეთესი“ როლი მინდაო, მაგრამ რეჟისორი ვერასოდეს ვერ შეჰქმნის თვითონ პირობებს ამ მორჩილებისა და დისციპლინისთვის. რეჟისორის ავტორიტეტსა და ხერხზეა დამოკიდებული მხოლოდ, ისარგებლოს არსებულის პირობებით.

დღეს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული წარმოდგენის გარეგან მხარეს, დეკორაციებს, მორთულობას. მაყურებელი თხოულობს, რომ სცენა სინამდვილე იყოს და მოქმედ პირთა გამოსვლამდის და მათ მიუხედავად მოგვამზადოს პიესის საგრძნობლად და გასაგებად. მიზნის სავსებით მისაღწევად აქ საჭირო იყო, რომ ყოველ პიესისათვის ცალკე ტანისამოსები და დეკორაციები დაგვემზადებია. საუბედუროდ, ქართული თეატრის სიღარიბე არ გვაძლევს ამის ნებას და დღესდღეობით თავი უნდა დავანებოთ ამას. რეჟისორის მოღვაწეობა ძალა-უნებურად შეზღუდულია ამ მხრივ ქართულ სცენაზე. მას არ შეუძლია, სასურველად მოაწყოს წარმოდგენა, რადგან სულ ხუთიოდე დეკორაცია და ტანისამოსი აქვს ხელში. კარგია, რომ როდესაც მოქმედება დღეს წარმოებს, ლამპები არ იყოს ანთებული სცენაზე (როგორც ეს მომხდარა), კარგია, ზამთარში ზაფხულის ბუნება არ იყოს გადაშლილი მაყურებელის წინ და სხ., მაგრამ ასეთის ელემენტარულ მოთხოვნილებათა შესრულებით ჯერ კიდევ როდი შევქმნით შესაფერ გარეგან ილიუზიას.

რა მოვალეობა-ღა დარჩა ქართულ რეჟისორს? დარჩა ის, რაც არის უმთავრესი მოვალეობა საზოგადოთ ყოველის რეჟისორისა: რეჟისორმა უნდა შეიგნოს პიესის დედა-აზრი და მოქმედ პირთა ხასიათები, გაანაწილოს როლები აქტიორების ძალისა და ნიჭის მიხედვით, დაეხმაროს აქტიორებს, გაიგონ და შეითვისონ როლები, მიიღონ საჭირო კილო, მიხვრა-მოხვრა, თავისდაჭერა, დროზე შემოვიდენ, დროზე გავიდენ, იდგენ თავის ადგილას, არასოდეს არ დაივიწყონ, რომ ისინი მოქმედობენ არამც თუ მაშინ, როდესაც ლაპარაკობენ, არამედ მაშინაც კი, როდესაც თავისთვის არიან ჩუმად კუთხეში და მაყურებელი თითქოს ყურადღებასაც არ აქცევს მას, და მაშინაც კი, როდესაც სცენის გარედ არიან; ვიდრე წარმოდგენა გათავდებოდეს, აქტიორი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელსაც თამაშობს, წარმოდგენის გათავებამდის აქტიორი არ უნდა გამოვიდეს თავის როლიდან, და სხვა და სხვა. აი, აქ ეძლევა რეჟისორს ფართო ასპარეზი თავის ნიჭისა და ცოდნის გამოსაჩენად; აქ არის მისი როლი და უმთავრესი დანიშნულება.

თუ ჩვენ ვიშოვნით ასეთს პირს, რომელიც პირნათლად შეასრულებს ამ მოვალეობას, შეიძლებს, რომ აქტიორებმა შეითვისონ პიესის აზრი და ხასიათები, იმოქმედონ და ილაპარაკონ პიესის აზრის და მოქმედ პირთა ხასიათების თანახმად, მაშინ ქართული წარმოდგენა ყოველთვის მოახდენს კარგს შთაბეჭდილებას მიუხედავად ათასგვარ გარეგან მოუწყობლობისა.

ვის შეუძლია, უკეთ შეასრულოს ასეთი რეჟისორობა? ერთს აქტიორს, რამდენსამე აქტიორს მორიგეობით, თუ არა აქტიორს—კერძო პირს?

ჩვენის აზრით, აქტიორობა მაინც და მაინც არ არის აუცილებელი თვისება, რომ ადამიანმა რეჟისორობა შესძლოს. ბევრი მაგალითი ვიცით, რომ მშვენიერად რეჟისორობენ მწერლები. ყოველი მწერალი ვერ ირეჟისორებს, მაგრამ ვერ ირეჟისორებს ყოველი აქტიორიც. რაც შეეხება მორიგ რეჟისორობას, ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ მას: არის პიესები, რომლებს უკეთ გაიგებს ერთი რეჟისორი და უკეთ შეაგნებინებს აქტიორებსაც, არის პირები, რომლებსაც უკეთ წარმოადგენს მეორე რეჟისორი. თანაც მორიგი რეჟისორები გაეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს და ყოველი ეცდებოდა, „მისი“ წარმოდგენები საუკეთესო ყოფილიყო.

გძამი.

დებულია, იმ შემთხვევაშიაც უხდის დაშავებულ მუშებს და მათ ოჯახებს, თუ ის სამუშაო, რომლის გამო დაშავდა მუშა, მესამე პირზე იჯარით ჰქონდა გადაცემული.

დაშავებულთ მისცემენ პენსიას ან შემწეობას. გამოანგარიშებული იქნება, თუ რამდენი დრო გაივლის, სანამ დაშავებული მუშა იმდენად მოიკეთებს, რომ მუშაობას შეიძლებს, რამდენს დაიმუშავებდა ამ დროს განმავლობაში და ამ მუშაობის ნახევარ ფასს მისცემენ.

პენსიები დაენიშნებათ ყოველ წლივ მთელი წლის ქირის ორი მესამედი იმათ, რომელთაც სრულებით დაჰკარგეს შრომის უნარი, და შემცირებული პენსია—იმათ, რომელნიც ნაკლებ მუშაობას შეიძლებენ, იმის დაგვარად, თუ რამდენად დაჰკარგეს შრომის უნარი. მეპატრონეებმა უნდა უხდონ მუშებს წამლობაში დახარჯული ფული. თუ უბედურ შემთხვევას სასიკვდილო შედეგი მოჰყვა და დაშავებული მუშა გარდაიცვალა, მაშინვე ან წამლობის დროს, ან ორის წლის განმავლობაში უბედური შემთხვევის შემდეგ, მეპატრონემ უნდა მისცეს გარდაცვალებულის ოჯახს 30 მან. დასაფლავების ფასი მოზრდილთათვის და 15 მან.—პატარებისათვის და უნდა აძლიონ პენსია სიცოცხლეში—ქვრივს გარდაცვალებულ წლიური ქირის $1/3$ შვილებს—კანონიერ, დაკანონებულ, ნაშვილევს და ქორწინების გარეშე შეძენილს, აგრედვე გაზდილთა და შვილად აყვანილთ—15 წლამდის—თვითეულს წლიური ქირის $1/6$, სანამ დედა ან მამა ცოცხალი ჰყავთ, და $1/4$—სრულიად დაობლებულთ, უახლოეს ნათესავებს—თვითეულს $1/6$, ძმებსა და დებს, სრულიად დაობლებულთ,—თვითეულს $1/6$, 15 წლამდის.

პენსიის რაოდენობა, რომელიც გარდაცვალებულის ოჯახის ყველა წევრთ ხვდება, არ უნდა აღემატოს წლიურ ქირის $2/3$-ს. თუ დაშავებული არაფერ ქირას არ ღებულობდა ქარხანაში, დღიური მუშის საშუალო ქირის დაგვარად უნდა უხდონ. პენსიების მაგივრად, ორივე მხრით თანხმობა თუ იქნა, მიცვალებულთა ოჯახის წევრებს ერთბაშად მიეცემათ შემწეობა.

დაშავებულ მუშებს და მათ ოჯახის წევრებს უფლება აქვთ შეუთანხმდნენ მეპატრონეებს საზღვეურ ფულის რაოდენობის შესახებ; შეთანხმების წერილი საქარხნო ინსპექტორმა უნდა დაამტკიცოს.

საჩივრის ვადა დაშავებულთათვის 2 წელიწადია უბედურ შემთხვევის შემდეგ და მათ ოჯახებისათვის—2 წელ. დაშავებულის სიკვდილის შემდეგ.

თუ ქარხანა დაიხურა, მეპატრონემ უნდა უზრუნველ ჰყოს დაშავებულნი და მათი ოჯახები პენსიის და შემწეობის მხრივ.

ზემოხსენებული წესები შეეხება აგრეთვე ქარხნებში იმ მოსამსახურეთ, ტეხნიკოსთ, მუშათა უფროსებს და სხვათ, რომელთაც 1500 მანეთზე ნაკლები ჯამაგირი ეძლევათ.

ზემოხსენებული წესები არ შეეხება სახაზინო გამგეობათა ქარხნებს, კერძო რკინის გზათა და კერძო გემების საზოგადოებათა სამრეწველო დაწესებულებათ.

ახალი კანონი ძალაში შევა 1904 წლის 1 იანვრიდან.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აგვისტო

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲝᲡᲚᲐᲕᲘ. გუშინ, დნეპროვსკის ერობა გლეხობისათვის სანიმუშო მინდვრების გამართვას შეუდგა.

ᲨᲐᲜᲰᲐᲘ. ხმა დადის, კონსულებმა ერთხმად გადასწყვიტეს, ჩინეთის სასამართლოს ნუ ჩაუგდებთ ხელში იმ ჩინელ ჟურნალისტებს, რომლებიც რევოლიუციონურ წერილების გამოცხადების თაობაზე არიან დატუსაღებულნიო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. რამდენისამე დეპარტამენტის საბჭოებმა სურვილი გამოთქვეს, კარგი იქნება იმ სახელმწიფოთა შუა, რომლებმაც ჰააგის კონფერენციას ხელი მოაწერეს, ხელშეკრულობა დაიდოს სამედიატორო სასამართლოს შესახებაო. ზოგიერთმა საბჭომ სურვილი გამოსთქვა, ინგლისსა და საფრანგეთს შუა მეგობრული სავაჭრო ხელშეკრულობა დაიდოსო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გენერალი პენძკე ლიონში გენერალ გრასეს ადგილს დაიჭერს. გრასე სათადარიგო ჯარში ჩაირიცხება. პენძკის ნაცვლად მთავარშტაბის უფროსად გენერალი მატისი იქნება.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. პორტა მზადაა, რუსეთის ყველა თხოვნა, რომელიც ჯერ აღსრულებული არაა, აასრულოს.

ᲰᲐᲐᲒᲐ. ვენესუელასა და სახელმწიფოთა შუა დავაა ატეხილი, ვის უფრო მეტი უფლება აქვს ვენესუელის სატამოჟნო ბაჟებიდან 30% მიიღოსო. ამ დავის გადასაწყვეტად რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორმა შემდეგი მედიატორები დანიშნა: კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორი მატცენი, რუსეთის იუსტიციის მინისტრი მურავიოვი და შვეიცარიის ელჩი პარიზში ლარდი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. იაპონიის აქაურმა ელჩმა სთქვა, იაპონია არ ეცდება, რუსეთისა და ოსმალეთის უთანხმოებით ისარგებლოსო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. მაკედონიის შინაგანმა ორგანიზაციამ მანიფესტით მიმართა მონასტირში მყოფ კონსულებს; ორგანიზაცია აცხადებს: რადგან ოსმალეთის ჯარი და ბაში-ბუზუკები მრავალ ხალხსა ჰხოცავენ, ბოლგარებს ველარ გავიმაგრებთ და რაც მომავალში მოხდება, იმის პასუხის გებას ჩვენ თავზე ვერ ვიკისრებთო.—პორტა ატყობინებს რუსეთისა და ავსტრიის კონსულებს, რაზმების მეთაურები სარაფოვი, სანდორსკი და ჩერნოპეევი მონასტირის ვილაეტში იმყოფებიანო.—ოსმალეთის ბევრი ოფიციალური ცნობა სწორე არ გამოდგა; მაგალითად, ოსმალეთი არა ერთხელ იუწყებოდა, კრუშევო აიღეთო, ნამდვილად-კი ოსმალებმა რამდენისამე დღის წინად მხოლოდ ამ ქალაქის ერთი ნაწილი დაიჭირეს, ქალაქის დანარჩენი ნაწილი და მიდამოები კი ისევ აჯანყებულთ ხელში იყო, მთელი ქალაქი მარტო გუშინ დაიჭირა ბახტიარ-ფაშამ. ზარალი მცირე მოუვიდათ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. როგორც აღმოჩნდა, „დეილი ქრონიკლ“-ის ცნობა, ვითომ ინგლისის ხმელთა შუა ზღვის ესკადრის ნაწილი სალონიკისაკენ წასულიყოს, უსაფუძვლო ყოფილა.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. კრუშევოს ახლო მომხდარ ბრძოლის დროს და ამ ქალაქის აღების შემდეგ ოსმალეთის ჯარმა ადგილობრივი ხალხი გაძარცვა და ბევრი ადგილობრივი ბოლგარი და ბერძენი მოჰკლა. მონასტირის სანჯაყის სხვა ადგილებიდანაც მოდის ცნობა, ოსმალეთის ჯარმა მრავალი ხალხი გაძარცვა და იმათი ქონება დასწვაო. ოსმალეთის ჯარი ბოლგართ რაზმების უწესობას სასტიკად სდევნის, ამიტომ ამნაირი მოქმედებაც აუცილებლად საჭიროაო. ოსმალეთის ტყუილი ოფიციალური ცნობები ბოლგართ რაზმების მოქმედების შესახებ ზოგი განზრახ იყო შეთხზული, ზოგიც შეცდომით იყო დაწერილი.

ᲕᲝᲠᲝᲜᲔᲟᲘ. წმ. ეპისკოპოს მიტროფანის ნაწილის აღმოჩენის დღეს, მეზობელ გუბერნიებიდან მოსულ აუარებელ მლოცავ ხალხის თანადასწრებით, წმ. ნაწილი დიდის მოწიწებით მონასტირის კედლებ გარშემო შემოატარეს.

ᲞᲡᲙᲝᲕᲘ. 8 აგვისტო. დღეს ჯარები პსკოვს ახლო შეიყარნენ. ბრძოლის დასრულებას ელიან.

9 აგვისტო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. საგზაო სამინისტროს განსაკუთრებულმა კომისიამ გადასწყვიტა, მე-X ტომის მე-683 სტატიის მოქმედება გავრცელებულ იქნას იმ მოხელეებზე და მათ ოჯახობაზე, რომელნიც დაშავდნენ გზის და საგზაო სამინისტროს ქონების დაცვის დროს, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ვინმე ბოროტ-მოქმედი ზარალს რასმეს მიაყენებს, დააშავებს ან მოჰკლავს მათ სამსახურის აღსრულების დროს.

ᲣᲡᲙᲘᲣᲑᲘ. აქ ძალიან დიდი აღელვებაა, რადგანაც ოსმალებს მეჩეთში ბჭობა აქვთ გამართული. ეშინიათ, ქრისტიანებს არ დაეცნენ. ვალიმ ბრძანება მიიღო, უსკიუბის ვილაეტის რედიფები საომრად გაამზადოს.

ᲡᲝᲤᲘᲐ. ადრიანოპოლის ვილაეტის ლოზენგრადის, მალკარნოვის და ვასილიკოს ოლქებში დიდძალი შეამბოხეები გაჩნდა. ვასილიკოს ოლქი შეამბოხეებმა დაიჭირეს. ბრძოლის შემდეგ ტყვედ წაიყვანეს ყველა მოხელეები. ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტეს. დიდი სოფელი პოტურნაკი დაანგრიეს.

ᲡᲝᲤᲘᲐ. ტყუილია, ვითომც ცონჩევი და იანკოვი დაეპატიმრებინათ. მთავარი მომავალ კვირის დამდეგს ბოლგარიაში დაბრუნდება.

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ. კრეისერი „ბაიანი“ შერბურგიდან დაბრუნდა და სანაპირო სიმაგრეებს სალიუტით (ზარბაზნის სროლით) აცნობა მოსვლა.

ᲡᲐᲚᲝᲜᲘᲙᲘ. განსვენებულ როსტკოვსკის გვამი მოასვენეს ნათესავთა და სამღვდელოების თანადასწრებით. საფლავზე მხედრობამ და ჟანდარმერიამ პატივი სცა. არქიეპისკოპოსმა მცირე ლოცვა გადაიხადა. კონსტანტინეპოლიდან მოვა რუსეთის სტაციონერი რუსეთში მიცვალებულის წასასვენებლად.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. იმ ნოტის საპასუხოდ, რომელიც რუსეთის ელჩმა გადასცა, პორტამ თანხმობა გამოაცხადა, ყველა ის მოთხოვნანი დააკმაყოფილოს, რაც „პრავიტ. ვესტნიკ“-შია ჩამოთვლილი. ამასთანავე აცნობა, რომ ოთხი ბელგიელი ოფიცერია მოწვეული; ამ გვარად უსკიუბში მყოფ ორ შვედ პორუჩიკიანად სულ მოწვეულია 6 ექსპერტი, რომელნიც მოაწყობენ ჟანდარმერიის საქმეს, რაც განზრახული იყო დეკემბრის პროექტით.

ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲕᲡᲙᲘ. 6 აგვისტოს წირვის შემდეგ საზოგადო საკრებულოს დარბაზში შეიკრიბნენ წევრნი ხაბაროვსკის მეოთხე კრებისა, რომელიც გენერალ-გუბერნატორ სუბბოტინის მიერ იყო გამართული. პარაკლისის შემდეგ გენერალ სუბბოტინმა კრება გახსნილად აღიარა. კრების საქმეები ამ გვარად განაწილდება: გადასახადები, მიწათმოქმედება, მრეწველობა, გზები, ფოსტა, ტელეგრაფი, საერო განათლება, სამკურნალო და სასანიტარო საქმეები. შეიკრიბნენ სტუმრები ამურის მხრიდან, იმიერ-ბაიკალიდან, მანჯურიიდან და მოსკოვიდან. ბევრი დიდი მოხსენებაა მომზადებული. სექციის წევრები ძალიან მხნედ შრომობენ. ხაბაროვსკის საზოგადოება დღესასწაულს უმართავს სამხედრო ტრანსპორტის „კამჩადალის“ ოფიცრებს; საზოგადო საკრებულოში სადამო გაუმართეს; გენერალ-გუბერნატორმა ოფიცრებს საუზმე გაუმართა სამხედრო საკრებულოში. ქალაქმა სადილი გამართა. აქაურმა ბატარეამ ზღვაოსნები სადილზე დაჰპატიჟა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. კიევის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ხიტროვო დანიშნულია გვარდიის კორპუსის უფროსად.

რედაქტორ-გამომცემელი **ᲐᲚ. ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘ.**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მისის მაღალ აღმატებულების ბატონ ფინანსთა მინისტრის თანხმობით, ამიერიდან ქალ. ტფილისის მესამე სესხის ობლიგაციები გაუქმებულია. ეს ობლიგაციები მოპარულია 1901 წელს 23 სექტემბერს ქალაქის გამგეობის კასიდან 1000 მანეთიან ღირებულობისა, სულ 592,000 მანეთისა ამ №№-ით: 155—159, 161—346, 348—457, 459—581 და 583—750, სულ 592 ფურცელი.

გაბათილებული ობლიგაციები შემოწმებული არ არის გამგეობის ბუხჰალტერის მიერ და არ აზის რიგის ნომრები. აწერია მხოლოდ შემდეგი: ტფილისის ქალაქის მოურავი **გ. მგანგულოვი.** გამგეობის წევრნი **თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. გ. ჩერქეზიშვილი. კ. ხოსროევი;** კუპონებსა და ტალონებზე-კი—ტფილისის ქალაქის მოურავი **გ. მგანგულოვი.**

ამ გაუქმებულ ობლიგაციების ნაცვლად გამოცემულ იქმნა ახალი ობლიგაციები მესამე სესხისავე შესაფერ კუპონებითა და ტალონებით; ამასთან ამ ობლიგაციებს აწერია: ტფილისის ქალაქის მოურავის თან. ალმ. მ. შატილოვი, გამგეობის წევრნი თავ. გ. ჩერქეზიშვილი, ტ. ანდრონიკაშვილი, კ. ხოსროევი, ხოლო კუპონებს და ტალონებს—ტფილისის ქალაქის მოურავის თან. აღმასრულებელი მ. შატილოვი.

ახალი ობლიგაციების ნიმუშები იქნება სახელმწიფო ბანკსა და ყველა იმის განყოფილებში. (3—5.—2)

წიგნის მაღაზია

„ᲒᲣᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ“

(სასახლის ქუჩა, სახ. ლალაევისა). იყიდება ფას დაკლებით შემდეგი წიგნები (რუსული):

1. მოკლე კურსი ბუნების ისტორიისა, მ. ვიროვისა, ფასი 1 მ 50 კ.
2. ელემენტარული კურსი ზოოლოგიისა, გ. სენტ-ილერისა. ფ. 1 მ. 20 კ.
3. გაკვეთილები მართლ-წერისა ბავშვებისათვის, მაკარისა, 25 კ.
4. მოკლე კურსი გეომეტრიისა, ზ. ვულიხისა, ფ. 80 კ.
5. ქვეყნიერება, საუბრებით და სურათებით.—ფიზიკა.—ქიმია.—ფიზიოლოგია ცხოველებისა.—ფიზიოლოგია მცენარეებისა და სხვა. შედგენილი პოლ ბერის მიერ ფ. 40 კ.
6. განმარტებანი სიმბოლო სარწმუნოებისა, დოგმებისა, შედგენ. ზელცოვის მიერ, ფასი 20 კ.
7. პირველ-დაწყებითი დარიგება, სოკოლოვისა. ფ. 20 კ.
8. რუსის მწერლები, ნაწ. II, მარტინოვსკისა. ფ. 2 მ. 50 კაპ.
9. რუსული წიგნი საკითხავად, ნაწ. I, II, III, V ლ. ტოლსტოისა, ფ. 50 კ. და სხვა სახელმძღვანელო წიგნები. 1—135—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობისთვის

საჭიროა ცარიელი ადგილები ან დიდი ეზოები იმ მასალის დასაწყობად, რომელიც საჭიროა ქუჩების მოსაკირწყლავად და შესაკეთებლად. ამიტომ გამგეობა წინადადებას აძლევს ასეთ ადგილების ან ეზოების პატრონთ შემოიტანონ განცხადებანი ქუჩების მომკირწყლელ კომისიის თავმჯდომარის სახელობაზე 20 აგვისტომდე.

შემდეგი პირობანი აუცილებლად საჭიროა: 1. თავისუფალი ეზო ან ცარიელი ადგილი არ უნდა იყოს 300 ოთხ-კუთხ საჟენზე ნაკლები. სასურველია 600-მდე საჟენი იყოს; 2. საწყობებისთვის ადგილები საჭიროა: პოლიციის მეოთხე ნაწილში; პირველ ნაწილში (ვერაზე); მეექვსე ნაწილში (სასურველია ვორონცოვის შოსსეს მახლობლად); დიდუბეში (ვოკზლის ან ლიანდაგის მახლობლად); ავლაბარში (კახეთის შოსსეს მახლობლად); პოლიციის მეხუთე ნაწილში. 3. ადგილები საწყობებისთვის შემოვლებული უნდა იყოს ქვის ან ქვითკირის კედლით. უნდა ჰქონდეს სადარაჯო ბუდკა ალაყაფის კარებთან და ოთახი სამზარეულოთურთ. 4. ვადა დაქირავებისა 3—4 წლიწადი იქნება. ქირას ქალაქი ნახევარ წლობით გადაიხდის წინდაწინ. 5. მესამე მუხლი სავალდებულო არ არის, რადგან თუ ვადა 3—5 წლიწადი იქნება, შენობანი ქირის ფულით თვით ქალაქის გამგეობას შეუძლიან აავოს. (3—5.—2)

ტფილისის ქალაქის

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აცხადებს, რომ ამა 1903 წლის 12 აგვისტოს შუადღის 12 საათისთვის **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა.** გაიცემა იჯარით 400 ოთხ-კუთხ საჟენიანი შეშის დასამზადებლად ქალაქის დაწესებულებებისა, ტფილისის ადგილობრივ კომანდისა და საკომენდანტო გამგეობისთვის.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის პირველ განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღევის ორ საათამდე. (3—5.—1)

ᲑᲣᲮᲰᲐᲚᲢᲔᲠᲘ-ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ

ამზადებს მსურველთ როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად

ორმაგ იტალიურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო საქარხნოსა და ბანკოსასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქზე, კომერციულ კორესპონდენციასა, ვექსილის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მორიგებით. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 5-ს 1903 წ.

ადრესი: ტფილისი, ალ. გ. ხათაშვილს ახალციხის შესახვევი, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად საღამოს სამიდან 8 საათამდის.

ვამზადებ ბუხჰალტერიის საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 9-დან 10 საათამდის შეუძლიათ სწავლა. ფასი მათთვის შეღავათიანი.

სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ მოწმობა მიეცემათ.

(4—136—1) ბუხ. გ. ხათაშვილი.

Дозв. ценз. Тифлисъ, 9 Августа, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)